ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ცოცხალი ჭადრაკი"... ყინულზე

რიგა, 17 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ლატვიის ჭადრაკის ფედერაციის თაოსნობით გუშინ ადგილობრივ სპორტის სასახლეში დიდი საჭადრაკო ზეიმი გაიმართა, რომელიც მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილისა და ა. კუშნირის მატჩს მიეძღვნა. ზეიმს 3000 რიგელი დაესწრო.

გაისმის მუსიკა და ყინულის. სტადიონზე გამოდიან რიგის ბავშვთა სპორტსკოლის მოციგურავეები — თეთრი და შავი საჭადრაკო ფიგურების სამოსში გამოწყობილი გოგონები და ბიჭები. ისინი საპატიო წრეს უვლიან და საჭადრაკო დაფაზე თავიანთ ადგილებს იკავებენ. იქვე სხდებიან დიდოსტატები მ. ტალი და ა. გიპსლისი, მსაჯი — საერთაშორისო არბიტრი ვ. მიკენასი. ცოცხალი ჭადრაკის თამაში დაიწყო.

ყოველი ფიგურის სვლას მუსიკის აკომპანემენტი ახლავს, ელექტროპროჟექტორები ათასფრად ედებიან დარბაზს. ფიგურები უჯრიდან უჯრაზე მისრიალებენ — „კვდებიან" და „ცეკვავენ". მუსიკის ზასიამოვნო ჰანგები უხვად იღვრება.

თამაში თითქმის საათს გაგრძელდა. დიდოსტატებმა ისეთი მძაფრი ბრძოლა გააჩაღეს (რაც ბოლოს მაინც ყაიმით დამთავრდა), რომ ცოცხალი ჭადრაკით მიღებული შთაბეჭდილება მაყურებლებს დიდხანს გაჰყვებათ.

სარბიელზე არიან ლენინგრადის ანსამბლის — ბალეტი ყინულზე — წევრები. მათს ემოციურ ცეკვებს დარბაზის დიდი მოწონება ხვდა.

დარბაზში სიჩუმემ დაისადგურა, როცა მაგიდას დიდოსტატები ტალი და ს. ფლორი მიუსხდნენ, რათა გაემართათ დისკუსია თემაზე: ბ. სპასკი — რ. ფიშერის მატჩი. დიდოსტატებმა ილაპარაკეს „საუკუნის მატჩზე", რომელიც 2 ივლისს რეიკიავიკში იწყება, და უპასუხეს მაყურებელთა შეკითხვებს. ცნობილ მოჭადრაკეთა ამ ჟურნალისტურ დუელში ბევრი საინტერესო რამ ითქვა. მათ აღნიშნეს სპასკისა და ფიშერის კარგი მომზადება, თქვეს, რომ სპასკი სოჭში ემზადებოდა, ფიშერს კი პეტროსიანთან მატჩის შემდეგ არც ერთ ტურნირში არ უთამაშია. როგორც ტალმა თქვა, არის ცნობები, რომ ფიშერი თამაშობდა მხოლოდ ელვისებურ პარტიებს, ატარებდა ერთდროული თამაშის სეანსებს და დღისით თუ ღამით სპასკის პარტიების კრებულს კითხულობდა.

ფიშერიც ამ დღეებში ჩადის რეიკიავიკში. მას არ დაუსახელებია თავისი სეკუნდანტი.

შეკითხვაზე — ვინ გაიმარჯვებს, ტალმა ასე უპასუხა: ამ მატჩში 24 პარტია უნდა გათამაშდეს და სპასკის მეტი შანსი აქვს თავისი შესაძლებლობის გამოვლენისა, ვიდრე პეტროსიანს ჰქონდაო. ფლორმა თქვა: სპასკი თუ კარგ ფორმაში იქნა, ფიშერი მას ვერაფერს დააკლებსო. ამასთან დასძინა, რომ სპასკიმ მთელი ძალით ვერ ითამაშა ალიოხინის მემორიალში. კარგია, თუ ეს მხოლოდ ვარჯიში იყო, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ.

ზეიმის დასასრულს გაიმართა ერთდროული თამაშის სეანსი 100 დაფაზე, რომელიც ტალმა, ფლორმა, გიპსლისმა და ლენინგრადელმა ოსტატმა ა. კორელოვმა ჩაატარეს. სეანსში გამარჯვებულს ჯილდოდ გადაეცა ფიშერის წიგნი „ჩემი 60 პარტია", რომელიც ახლახან რუსულ ენაზე გამოიცა.

ზეიმის შემოსავალი მშვიდობის ფონდში ჩაირიცხა.

თ. გიორგაძე.



სურათზე: თავისუფალ დროს მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი კორესპონდენციას ათვალიერებს.

მ. ზარგარიანის (ჩვენი სპეც. კორ.). ფოტო.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 118 4628

1972 წ. 18 ივნისი, კვირა.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# მუშა ახალგაზრდობის სპარტაკიადა

16 ივნისს მოსკოვში, „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე, ლამაზი სპორტული დღესასწაულით გაიხსნა საზოგადოება „შრომითი რეზერვების" XIII საკავშირო სპარტაკიადა, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. სტადიონის მწვანე ხალიჩაზე გამოვიდა სამი ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი. მაყურებლებმა ნახა მოცეკვავეთა კოლექტივების, აკრობატიკის, მხატვრული და სპორტული ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, ველოსპორტის ოსტატთა, მოკრივეთა გამოსვლები. აქვე მოეწყო საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში საკავშირო ვარსკვლავისებური ესტაფეტის ფინიში. დასასრულ შედგა საფეხბურთო მატჩი საზოგადოების ორი უძლიერესი გუნდის — ამიერკავკასიისა და რსფსრ-ს (მოსკოვის ოლქი) კოლექტივების მონაწილეობით.

პროფტექნიკური განათლების სასწავლებლების წლევანდელი სპარტაკიადა (ეს შეჯიბრებები 1955 წლიდან ტარდება) გამოირჩევა უწინდელებისგან. თუ წინათ ფინალური შეჯიბრებები ერთ ქალაქში ტარდებოდა, ახლა სხვადასხვა ადგილას ეწყობა. მაგალითად, აკრობატები და ველოსიპედისტები მოსკოვში გამოდიან, ფრენბურთელები — სარატოვში, კალათბურთელები — რიგაში, ნიჩბოსნები — დუბოსარიში, მძლეოსნები — კისლოვოდსკში. სპარტაკიადა სექტემბერში ვორონეჟში დამთავრდება მოკრივეთა შეჯიბრებით.

პროგრამის რამდენიმე სახეობაში (ტანვარჯიში, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა) შეჯიბრებები უკვე ჩატარდა. ყველას აჯობეს რსფსრ-ს პროფტექნიკური სასწავლებლების სპორტსმენებმა, რომელთაც ოთხიდან სამი პირველი გუნდური ადგილი მოიპოვეს, აგრეთვე, ბელორუსიის ტანმოვარჯიშე ქალებმა. (საკდესი).

# თასი — მეხუთედ!



ამას წინათ გროდნოში გაიმართა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. ამ საინტერესო პაექრობაში, რომელშიც 13 უძლიერესი გუნდი მონაწილეობდა, პირველობა არავის დაუთმო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდმა: ფინალში დაამარცხა (82:78) მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ნაკრები.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კალათბურთელებმა ვ. ნარიმანიძემ (გუნდის მწვრთნელი-მოთამაშე), გ. სულხანიშვილმა (კაპიტანი), ა. ოქროპირიძემ, კ. კახიანმა, შ. იაქაშვილმა, გ. კოგუაშმა, ნ. ჭეიშვილმა, გ. რატიანმა, ზ. კანდელაკმა და ზ. ქარაბაკმა მაღალტექნიკური და გააზრებული თამაშით მოხიბლეს მაყურებელი.

ასეთი ასპარეზობა სულ ცხრაჯერ ჩატარდა. ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა რვაჯერ მიიღო შეჯიბრებაში მონაწილეობა და ხუთჯერ იზეიმა გამარჯვება.

მ. მელქაძე.

* * *

სურათზე: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კალათბურთელ ვაჟთა გუნდი.

ავტორის ფოტო.

# შეჯიბრების მშვენება

მილანი, 17 ივნისი. ოლიმპიურ სეზონში ევროპის ჩემპიონისა და რეკორდსმენის, კიეველი ვ. ბორზოვის პირველი „ინდივიდუალური" სტარტი აქ დაწყებული საერთაშორისო მატჩის პირველი დღის ნამდვილ მშვენებად მოგვევლინა: ადგილობრივი „არენის" სტადიონის ბილიკზე ბორზოვმა 100 მეტრის გარბენას ზუსტად 10 წამი მოანდომა (ევროპის რეკორდის გამეორება). მის მხარდამხარ ფინიში ჰქონდა იტალიელ პ. მენეას და მხოლოდ ფოტოფინიშმა მიაკუთვნა გამარჯვება ბორზოვს. იტალიელის დროც 10 წამია (იტალიის რეკორდი და, ცხადია, ევროპის რეკორდის გამეორება).

შესანიშნავად გაირბინა ეს მანძილი საბჭოთა ნაკრების დებიუტანტმა, 22 წლის ვ. ატამასმაც (ჩერკასი). პირადი რეკორდით (10,2) მან III ადგილი დაიკავა.

... მატჩი, რომელშიც ბელგიის, იტალიის, რუმინეთისა და სსრ კავშირის მძლეოსან ვაჟთა ნაკრები გუნდები მონაწილეობენ, დიდ ინტერესს იწვევს.

შუბის ტყორცნაში წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგით გაიმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, რიგელმა ი. ლუსისმა — 87,88 მ. II ადგილიც საბჭოთა მძლეოსანს — მოსკოვის ოლქის წარმომადგენელს, 20 წლის ა. მაკაროვს ხვდა — 84,60 მ.

110 მეტრზე თარჯრბენში ყველას აჯობა მინსკელმა ვ. მიასნიკოვმა — 13,7 (საკავშირო რეკორდის გამეორება).

გამარჯვებები იზეიმეს სხვა საბჭოთა სპორტსმენებმაც. აი, ისინიც: ა. ბონდარენკოვი (ალმა-ათა) — 10 კმ-ზე რბენა — 28.28,6 — საუკეთესო შედეგი წლეულს სსრ კავშირში (მეორე იყო მოსკოველი ი. ალექსაშინი — 28.55,2), ტ. ლეპიკი (ტალინი) — სიგრძეზე ხტომა — 782 სმ, რ. პლუნგე (კაუნასი) — ბირთვის კვრა — 19,64 მ, ვ. პანტელეი (ხარკოვი) — 1500 მეტრზე რბენა — 3.43,0 (II ადგილზეა ამ მანძილზე რბენაში ევროპის ჩემპიონი, იტალიელი ფ. არესე, რომელიც გამარჯვებულს 0,1 წამით ჩამორჩა).

მასპინძლებმა ყველას აჯობეს 400 მეტრზე რბენაში (მ. ფიასკონარო — 46,6. მესამე იყო როსტოველი ლ. კოროლიოვი — 47,5), სიმაღლეზე ხტომაში (მ. შივო — 217. მას ცდებით ჩამორჩა ვილნიუსელი კ. შაპკა), 4×100 მეტრზე ესტაფეტაში — 39,3 (II ადგილზეა სსრ კავშირის გუნდი — 39,6).

მძლეოსნობის ისტორიაში ამგვარი პირველი მატჩის პირველი დღის შემდეგ დაწინაურდნენ საბჭოთა სპორტსმენები.

მძლეოსნობა.

# ახალი ამბები-72

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა ველოსიპედისტებმა 1200 კილომეტრზე მეტი უნდა დაფარონ. პირველი ეტაპი 30 კილომეტრზე ინდივიდუალური რბოლა იყო. გაიმარჯვა პოლონელმა რ. კოზელმა — 42.17 (საშუალო სიჩქარე — 42,86 კმ საათში). II ადგილი დაიკავა ა. ესაკმა (ლატვია) — 42.21. ამ ორმა აქტიურ მრბოლელთა სიის პირველი ორი სტრიქონი დაიკავა: კოზელს 20 ქულა დაუგროვდა, ესაკს — 15.

● კიევი, 16 ივნისი. ადგილობრივი ფიზკულტურის სასახლის საფარიკაო ბილიკებზე დღეს თანამედროვე ხუთჭიდის 48 ოსტატი გამოვიდა — აქ დაწყებული დიდი საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი. ესენი არიან: სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები, უკრაინის, ესტონეთის, ლატვიის, ყაზახეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გფრ-ის გუნდები. მონაწილეთა შორის ვხვდებით მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს ა. ბალცოს (უნგრეთი), საბჭოთა სპორტსმენებს — ამჟამინდელ მსოფლიო ჩემპიონს ბ. ონიშჩენკოს, ოლიმპიური თამაშების პრიზიორს პ. ლედნიოვს... ხვალ და ზეგ ათლეტები საცხენოსნო სპორტში იასპარეზებენ, 19 ივნისს ერთმანეთს ორ სახეობაში — სროლასა და ცურვაში გაარკვევენ ურთიერთობას, 20 ივნისს კი მძლეოსნური კროსის სტარტზე გამოვლენ.

● მოსკოვი, 16 ივნისი. ნოვოსიბირსკელი ინჟინერი, სპორტის ოსტატი ი. კარანდინი კვლავ აღიარებულია ჰოკეიში საუკეთესო საბჭოთა მსაჯად. ეს გადაწყდა სსრ კავშირის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდიუმის დღევანდელ სხდომაზე. განვლილი სეზონის მიხედვით საუკეთესო მსაჯების ათეულში შევიდნენ, აგრეთვე: ა. ზახაროვი (მოსკოვი), ვ. დომბროვსკი (ჩელიაბინსკი), ნ. რუზნიკოვი, ნ. მოროზოვი (ორივე — მოსკოვი), ვ. ეგოროვი (ჩელიაბინსკი), ვ. ნიკულცევი, ვ. სოროკინი, ნ. ხომუტინიკოვი (ყველა — მოსკოვი) და ი. პლიკუშკისი (რიგა). ნიკულცევი, სოროკინი და პლიკუშკისი პირველად მოხვდნენ ამგვარ სიაში.

● კლაიპედა, 15 ივნისი. გუშინ ლიტვის ამ საპორტო ქალაქში სტარტი მიეცა ბალტიის ტრადიციულ მრავალდღიან ველორბოლას — „მეგობრობას". უნგრეთის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და საბ-

ახალი ამბები-72

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზაფხულო სპორტული სეზონის დაწყებისთანავე ოდესის დოსაა-ფის ავიასპორტული კლუბის პარაშუტისტებმა და მფრინავმა სპორტსმენებმა სისტემატური საწვრთნელი მეცადინეობა დაიწყეს. აქ ყოველწლიურად ასობით კომკავშირელი — ახალგაზრდა მუშები, სტუდენტები, პროფტექგანათლების სასწავლებლებისა და გმირი ქალაქის საშუალო სკოლების მოსწავლეები ეუფლებიან საპარაშუტო სპორტის ხელოვნებას და სპორტული თვითმფრინავების მართვას.



სურათზე: სათვითმფრინავო რგოლის მეთაური ვ. ცაპენკო (მარჯვნივ) საწვრთნელ გაფრენას არჩევს ოდესის აეროპორტის ელექტროსამსახურის მექანიკოს ა. შევჩენკოსთან ერთად.

ი. პავლენკოს ფოტო. (საკდესი).

# უკეთესი შედეგებისთვის იბრძოლებენ

კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს მეცხრე ხუთწლედის პირველი — 1971 წელი ქობულეთის რაიონის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა. ჩვენ მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ალმასკომის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ი. მჟავანაძეს ვთხოვეთ ეამბნა ამ მიღწევებზე.

— რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციისთვის შარშანდელი წელი უხვმოსავლიანი იყო, — ამბობს ი. მჟავანაძე. — გადაჭარბებით შესრულდა თანრიგოსანთა და ნიშნოსანთა მომზადების დავალებები. ორის ნაცვლად მომზადდა სამი სპორტის ოსტატი, 16-ის ნაცვლად — 55 პირველთანრიგოსანი. დიდი გადაჭარბებითაა შესრულებული სხვა თანრიგების სპორტსმენთა აღზრდის დავალება, საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და მსაჯების მომზადების თვითვალდებულებანი.

რაიონის ნაკრებმა გუნდებმა და ცალკეულმა კოლექტივებმა წარმატებებს მიაღწიეს საოლქო შეჯიბრებებში. მაგალითად, აჭარის უცვლელი ჩემპიონები — ხუცუბნის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის ლელობურთელები „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონებიც გახდნენ, ჩაქვის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ფეხბურთელები აჭარის ჩემპიონები და თასის მფლობელნი არიან. რაიონის სოფლის სპორტსმენები აჭარის 1971 წლის ჩემპიონები არიან, აგრეთვე, ხელბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ქართულ ჭიდაობაში, მძლეოსნობაში.

ათზე მეტი ქობულეთელი სპორტსმენი იცავდა აჭარის ღირსებას საქართველოს V სპარტაკიადაში. მათ ოლქის ნაკრებს 35-ზე მეტი ქულა შესძინეს. ათობით სპორტსმენია შეყვანილი აჭარის, აგრეთვე, „კოლმეურნის“ საოლქო და რესპუბლიკურ ნაკრებ გუნდებში. ქობულეთელი რ. მელაშვილი საქართველოს სპარტაკიადის ჩემპიონია თავისუფალ ჭიდაობაში, ხოლო ჩვენს რაიონში აღზრდილი რ. ხიზანიშვილი ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდში თამაშობს.

შარშან განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ სპორტული ბაზებისა და მოედნების კეთილმოწყობაზე. რაიონში ფრენბურთის 105 და კალათბურთის 35 მოედანი, ფეხბურთის 10 მინდორი, 15 სპორტული დარბაზი და ბავშვთა სპორტული სკოლა გვაქვს.

მთავრდება ქობულეთის ცენტრალური სტადიონის მშენებლობა, რომელიც 12 ათას მაყურებელს დაიტევს. მართალია, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მოსაწყობია სარბენი ბილიკები და სექტორები. ამასთან, უნდა ვთქვათ, რომ სტადიონის მშენებლობისთვის თანხა რაიონის ჭარბი სახსრებიდან გამოიყო, ბაზის მშენებლობაში „კოლმეურნის“ საოლქო საბჭო არაფერს დაგვეხმარა, თუმცა ყოველწლიურად რაიონიდან იურიდიული საწევროს სახით 50 ათასამდე მანეთს იღებს.

წარმატებების მიუხედავად, მუშაობაში ნაკლი ჯერ კიდევ გვაქვს. გვყავს ისეთი ორგანიზაციებიც, სადაც ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას. ეს უფრო მეტად რაიონის სავაჭრო ორგანიზაციების, სამკურნალო დაწესებულებების და ზოგიერთი ჩაის ფაბრიკის მიმართ ითქმის. ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ, რომ სოფლად ყველა ფიზკულტურულ კოლექტივს მარტივი ტიპის სპორტული მოედანი მაინც ჰქონდეს.

„შუქურას“ ფეხბურთელთა გუნდმა შარშანდელი წელი კარგად ვერ დაამთავრა...

ქობულეთის რაიონის ფიზკულტურელები და სპორტსმენები წლეულს ახალი წარმატებებისთვის იბრძოლებენ. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად მათ გადაწყვეტილი აქვთ მოამზადონ 3 სპორტის ოსტატი, 40 პირველთანრიგოსანი, 110 მეორე და 590 მესამე თანრიგის, 1000-ზე მეტი მოზარდთა თანრიგების სპორტსმენი, აგრეთვე, საზოგადოებრივი ინსტრუქტორები და მსაჯები.

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია, რომ ყოველ კოლექტივს მარტივი ტიპის მოედანი ჰქონდეს.

ლ. ტრაპაიძე.
(ჩვენი კორ.).

ქობულეთი.



## მოსწავლეთა რესპუბლიკური...

# საზრუნავი ბევრია

სოხუმის სასროლეთზე ამას წინათ საასპარეზოდ გამოვიდნენ ქუთაისის, თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ფოთის, გორის, სამხრეთ ოსეთისა და რუსთავის ნაკრები კოლექტივები. საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები სწორედ ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა.

მოსწავლეებმა ექვსი ვარჯიში შეასრულეს. საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადების ამ ეტაპზე მაჩვენებლები ურიგო როდია, მაგრამ საჭიროა სერიოზული მუშაობა, რომ ყოველ ვარჯიშში შედეგები სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივის დონემდე მაინც ამაღლდეს. სოხუმში კანდიდატის ნორმატივი მხოლოდ მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე სწრაფსროლაში შესრულდა. ეს შედეგი პირველად მოიპოვა ქუთაისის რკინიგზის მე-12 საშუალო სკოლის მეათეკლასელმა, პირველთანრიგოსანმა თ. ლოლაძემ. თეიმურაზმა ორი დღის ჯამში 579 ქულა (292+287) მოაგროვა. მას საქართველოს განათლების სამინისტროს პრიზი გადაეცა.

სოხუმის მე-19 სკოლის მეათეკლასელი ი. რიაზანცევი ჩემპიონს 2 ქულით ჩამორჩა (288+289). საკანდიდატო ნორმატივს ეს შედეგიც აღემატება.

ქუთაისის გუნდმა, რომელშიც შედიოდნენ თ. ლოლაძე, მე-7 სკოლის მეათეკლასელი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი მ. ესაძე (570 ქულა) და მე-17 სკოლის მეათეკლასელი, პირველთანრიგოსანი ვ. შესტაკოვი (571 ქულა — III ადგილი), 1720 ქულა მოაგროვა. ეს 10 ქულით აღემატება საქართველოს ჭაბუკთა რეკორდის სარეგისტრაციო ნორმატივს.

შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებას ხელი შეუწყო მსაჯთა კოლეგიის კვალიფიციურმა მუშაობამ.

რ. კაცობაშვილი.

### ტექნიკური შედეგები

**მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა სროლა. პირადი.** ა. არუთინოვი (თბილისი) — 579, ა. ვაჩიბერიძე (ქუთაისი) — 578, ო. პოპოვი (აფხაზეთი)—577. **გუნდური.** თბილისი — 1723, ქუთაისი — 1720, აფხაზეთი — 1714. **მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლა. პირადი.** ჰ. ჰუსეინოვი — 566, ბ. მანაშეროვი (ორივე — თბილისი) — 564, ა. მოროზოვი (აჭარა) — 562. **გუნდური.** თბილისი — 1676, ქუთაისი — 1662, აფხაზეთი — 1654. **მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლა.** ი. ჯოლია (აფხაზეთი)—550, ვ. რიაბუხინი (თბილისი) — 548, ნ. ციგანკოვა (აჭარა) — 544. **გუნდური.** აჭარა — 1611, ქუთაისი — 1584, თბილისი — 1578. **მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე სწრაფსროლა. გუნდური.** ქუთაისი — 1721, თბილისი — 1677, აფხაზეთი — 1656. **მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავ სამიზნეებზე სროლა.** მოროზოვი — 262, ჰუსეინოვი — 256, ვ. ლატიპოვი (თბილისი) — 256. **გუნდური.** თბილისი — 752, ქუთაისი — 734, აფხაზეთი — 727. **პნევმატური შაშხანით 40 გასროლა.** გ. სართანია — 329, ა. არუთინოვი (ორივე — თბილისი)—328, ი. ჯოლია (აფხაზეთი) — 327. **გუნდური.** თბილისი — 971, აჭარა — 942, ქუთაისი — 908.

სტრიქონები

# საკუთარი ძალით

ამ დღეებში „საქსოფლტექნიკის“ გურჯაანის რაიონული განყოფილების (მმართველი მ. ჩუგოშვილი) მუშა-მოსამსახურეებმა საკუთარი ძალით მოაწყვეს კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები.

ზ. წიკლაური.

გურჯაანი.



## შრომისა და ჯანმრთელობის კერები

ლენინგრადის სკკპ XXII ყრილობის სახელობის ლითონის ქარხნის საამქროებში „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების გრაფიკი გაჩნდა...

სახელკანთქმული საწარმოს კოლექტივის სპორტკლუბი დღესაც იწონებს თავს უჩვეულო სიგელით — 1940 წლის ვიმპელით „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში II ადგილისთვის“. დღეს საწარმოს გეგმაში ყველაფერია გათვალისწინებული საიმისოდ, რომ ყოველი მუშა ახალი კომპლექსის ნიშნოსანი გახდეს — ტრადიციული სპარტაკიადები, შეკრებები, ტურისტული ლაშქრობები, საამქროს დათვალიერება-კონკურსები. ვადამდე მომზადდა 52 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და მსაჯი, ჩატარდა ფიზორგების სემინარები.

... მექანიკური საამქროს აქტივისტები თავიანთი ფიზკულტურული ხელმძღვანელის გ. კარპოვის მეთაურობით გულმოდგინედ აანალიზებენ თავიანთ შესაძლებლობებს მეტოქეებთან ბრძოლაში. ქარხნის საზამთრო სპარტაკიადის მოგების შემდეგ მათ საზაფხულო ასპარეზობისთვის დაიწყეს მზადება. შეჯიბრებები ჩატარდება რამდენიმე სახეობაში — მძლეოსნობაში, ფრენბურთში, ტურიზმში, თევზაობაში.

გულხელდაკრეფილნი არც მეტოქეები სხედან. პირველივე მასობრივ საქარხნო კროსში მექანიკოსებს ლითონკონსტრუქციების საამქრომ გაუსწრო, სადაც ფიზორგად ტექნიკური კონტროლის განყოფილების ოსტატი ა. დრიკია არჩეული. მისი გუნდიდან 104 კაცმა ჩააბარა ახალი კომპლექსის ნორმატივები რბენაში. ეს თავისებური რეკორდია.

ახალბედებთან ერთად კომპლექსის სტარტზე გამოდიან ისინიც, ვინც ჯერ კიდევ 1940 წელს სცადა ძალა. ესენი არიან 65 წლის ბ. ნიკიტინი, ა. ლარიონოვი, ვ. ბოდროვი და სხვ.

ს. გავრიკოვი.

ლენინგრადი.

## „ჯერ მხოლოდ 69 წლისა ვარ...“

ეს ამბავი ჩერნიგოვის „სპარტაკის“ საოლქო საბჭოში მოხდა. მოსული ჯიუტად მოითხოვდა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის ნორმატივები ჩამაბარებინეთო. როცა ასაკი ჰკითხეს, მან მიუგო:

— ჯერ მხოლოდ 69 წლისა ვარ...

ექიმმა მთხოვნელი გულდასმით გასინჯა და თანხმობა მისცა. პენსიონერმა ი. კირილოვმა კომპლექსის ბოლო განყოფილების — „მხნეობისა და ჯანმრთელობის“ თითქმის ყველა საფეხური დასძლია.

ახლა ჩასაბარებელი მხოლოდ სათხილამურო სპორტის ნორმატივები დარჩა, მაგრამ ვეტერან სპორტსმენს ეგ ვერ აშინებს. თხილამურებით სრიალი კირილოვს ახალგაზრდობიდანვე უყვარს, ომის წლებში კი მოთხილამურეთა რაზმებს ამზადებდა ფრონტისთვის...

ოჯახის მამას შვილებისთვისაც შეუყვარებია სპორტი. ამ საქმის დიდი ენთუზიასტები არიან კირილოვის ქალიშვილი, პროფესიით ექიმი ვერონიკა და ვაჟი ედუარდი, ოკეანოლოგი. კირილოვს ოთხი შვილიშვილი ჰყავს. რაღა თქმა უნდა, ოთხივეს გულით სურს მიჰბაძოს პაპას, რომელმაც პირველად ამ ორმოცი წლის წინ დაიმშვენა მკერდი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ კომპლექსის სამკერდე ნიშნით. ახლა კი მისი „განახლება“ გადაწყვიტა...

ნ. რომანიკა.

ჩერნიგოვი.

## ახალგაზრდა ცხენოსნები საბჭოთა მეურნეობაში...

დნეპროპეტროვსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „დნეპრში“ საოლქო საზოგადოება „კოლოსის“ საცხენოსნო-სპორტულმა სკოლამ დაარსების 10 წლისთავი აღნიშნა.

...კვირაში სამჯერ აქ დნეპროპეტროვსკიდან და მახლობელი სოფლებიდან ჩამოსული ასამდე ბიჭი და გოგონა იყრის თავს. ისინი პირველ ყოვლისა თავიანთ ბედაურებს მოიკითხავენ ხოლმე, მერე კი მასწავლებლებს სასკოლო დღიურებს უჩვენებენ.

... გაისმის ბრძანება და საწვრთნელი მეცადინეობა იწყება. უკრაინის მრავალგზის ჩემპიონ ვ. კიტაევის ხელმძღვანელობით სკოლაში მომზადებულია ასობით ცხენოსანი, რომელთაგან 14 უკვე სპორტის ოსტატია. სკოლის სპორტული დიდების კუთხეს ამშვენებს პრიზები, მედლები, საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მიღებული დიპლომები.

დნეპროპეტროვსკის 30-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელმა ა. ხოდანოვიჩმა უკრაინის სპარტაკიადაში უფროსებს შორის III ადგილი დაიკავა. ახლა ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატი სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებშია შეყვანილი.

სკოლის „დაბადების დღის“ აღსანიშნავად ახალგაზრდებმა საგანგებო საჩვენებელი გამოსვლა მოამზადეს.

ვ. ცურკანოვი.

დნეპროპეტროვსკი.

## პირველი სტუმრები

ნოვოკუზნეცკში — ციმბირელ მეშახტეთა და მეტალურგთა ქალაქში ახალი სპორტული კომპლექსი გაიხსნა. მინისა და ბეტონისგან ნაგებ ორსართულიან შენობაში განლაგებულია ტანვარჯიშის, კალათბურთის, მძლეოსნობის დარბაზები, აგრეთვე, აუზი. კომპლექსს „ოლიმპი“ დაარქვეს. აქ ერთდროულად 150 სპორტსმენი მეცადინეობს. საწვრთნელ მეცადინეობაზე პირველნი მოსწავლეები მივიდნენ.

ე. პასტუშენკო.

ნოვოკუზნეცკი.

## გაკვეთილი... ცურვაში

სმოლენსკის 27-ე საშუალო სკოლის მესამეკლასელები ფიზკულტურის გაკვეთილებზე ქალაქის საცურაო აუზზე დადიოდნენ. მათ ორთვენახევარში ისწავლეს ცურვა, ამასთან, თავიანთ უნარს სპეციალურ გამოცდაზე ამოწმებდნენ. ეს უკვე სკოლის ბავშვების მესამე ჯგუფმა ისწავლა ცურვა.

ქალაქის ზოგიერთ სკოლაში ცურვაში გაკვეთილები პირველად შემოიღეს ამ სასწავლო წლიდან, გაისად კი ამ გამოცდილებას კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენებენ.

სმოლენსკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორჭოფული გადაწყვეტილება

ბრიუსელი, 16 ივნისი. შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსი“ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩის დროს ბარსელონაში შოტლანდიელი გულშემატკივრების უხამსი საქციელის გამო ორი წლით გამორიცხულია ყველა შეჯიბრებიდან, რომლებიც ფეხბურთის ასოციაციათა ევროპული კავშირის (უეფა) სახელით ჩატარდება. ასე გადაწყვიტა უეფა-ს დისციპლინარულმა კომიტეტმა, რომელმაც, ამავე დროს, უარყო მოსკოვის „დინამოს“ მოთხოვნა მატჩის გადათამაშების თაობაზე.

ამ გადაწყვეტილების ულოგიკობა ყოველი მიუკერძოებელი ადამიანისთვის ნათელია. თუ „გლაზგო რეინჯერსი“ დაისაჯა, ეს იმას ნიშნავს, რომ გულშემატკივრებმა მართლაც შეუშალეს ხელი მატჩის ნორმალურად მსვლელობას. თუ ასეა, მაშ რატომ უარყვეს დინამოელთა პროტესტი?

არ შეიძლება კაცი იმ დასკვნამდე არ მივიდეს, რომ დისციპლინარულმა კომიტეტმა მიიღო ორჭოფული გადაწყვეტილება, რომელიც მთლიანად ვერ დააკმაყოფილებს იმათ, ვინც სამართლიანი თამაშის შენარჩუნების პრინციპებს იზიარებს.

* * *

მოსკოვის „დინამოს“ გუნდის უფროსმა ლ. იაშინმა, რომელიც ზემოაღნიშნული საკითხის განხილვას დაესწრო, პროტესტი შეიტანა უეფა-ს სააპელაციო ჟიურიში.

(საკდესი).

## ცსკა — „ბოლონია“

მოსკოვი, 16 ივნისი. დღეს აქ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და იტალიის „ბოლონია“.

ინიციატივას ფლობდნენ არმიელები, რომლებიც სწრაფ ტემპში თამაშობდნენ. იტალიელები მაღალი ტექნიკით გამოირჩეოდნენ, კარგად „ეჭირათ“ ბურთი და კონტრიერიშების წყალობით მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ანგარიშის გათანაბრება შეძლეს.

ბურთები გაიტანეს: სტუმართაგან — რიცომ და სავოლდიმ, არმიელთაგან — კოპეიკინმა და დოროფეევმა. ამრიგად, საინტერესო მატჩი ფრედ დამთავრდა — 2:2 (1:1).

მეორე შეხვედრას იტალიელები 19 ივნისს გამართავენ მინსკში ადგილობრივ „დინამოსთან“.

## წინ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაა

დამთავრდა ახალგაზრდა ფეხბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატი, რომელიც, ამავე დროს, საკავშირო ჩემპიონატის ზონალური ტურნირიც იყო.

გათამაშება მიმდინარეობდა დაძაბულ, მწვავე ბრძოლაში. მეტოქეთა ძალების თანაბრობაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბოლო ტურის მატჩებამდე შეუძლებელი იყო იმ სამი გუნდის დასახელება, რომლებიც საკავშირო შეჯიბრების ნახევარფინალის საგზურებს მიიღებდნენ.

რესპუბლიკური ჩემპიონატის დასკვნითი ცხრილი უკვე გამოქვეყნებული იყო „ლელოში“. შეგახსენებთ მხოლოდ, რომ I ადგილი დაიკავა თბილისის განათლების განყოფილების გუნდმა (მწვრთნელები — რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი შ. ბოკუჩავა და სპორტის ოსტატი თ. მელაშვილი). II ადგილზეა თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდი (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ელიაშვილი), ხოლო III — თბილისის „განთიადი“ (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი მ. იაშვილი).

ახლახან დამთავრებული ჩემპიონატი ფაქტიურად იმ მუშაობის შემოწმებაა, რომელიც ჩვენმა მწვრთნელებმა გასწიეს განვლილ პერიოდში, იმ რეზერვების დათვალიერებაა, რომლებიც ახლო მომავალში უნდა მიიღონ საქართველოს ოსტატთა გუნდებმა. განვლილი ასპარეზობის შედეგების შეჯამებისას უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მოზარდთა გუნდებში საკმაოდ არიან ნიჭიერი, კარგი მომავლის მქონე ფეხბურთელები, რომლებმაც მთელ რიგ მატჩებში საუკეთესო მონაცემები გამოავლინეს. მათ შორის პირველ ყოვლისა გამოვყოფთ კრავჩენკოს (განათლების განყოფილება), მაყაშვილსა და გაგუას (თბილისის ახალგაზრდული სკოლა), ნატროშვილს (თბილისის „დინამო“), ფარულავასა და კოსტავას (ქუთაისის „ტორპედო“), ნებაძეს („სპორტინტერნატი“), ესებუას (ბათუმის „დინამო“), იმნაძეს (რუსთავის „მეტალურგი“), წიკლაურს („ავაზა“), ვლაშჩენკოს („დილა“) და სხვ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საქმეს არ შველის და კვლავ გვიხდება ლაპარაკი ბავშვთა ფეხბურთისადმი უპასუხისმგებლო, გულგრილ დამოკიდებულებაზე ცალკეულ სპორტულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მხრივ. მაგალითად, საკითხავია, რაში დასჭირდა სოხუმის „დინამოს“ მოსამზადებელი ჯგუფის გუნდს შეეყვანა თავის შემადგენლობაში ორი ასაკს გადაცილებული ფეხბურთელი — ხამალიანი და ბოხაშვილი, რომლებსაც წინასწარ გადაუკეთეს საბუთები. როცა ეს ამბავი გამოაშკარავდა, გუნდის შედეგები გაუქმდა. ნუთუ საკმარისი არაა ის ზომები, რომლებსაც მიმართა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა 1970 წელს ასაკობრივი ცენზის დამრღვევთა მიმართ? განა დასანანი არაა, რომ დამნაშავეებთან ერთად დაისაჯნენ სრულიად უდანაშაულო ჭაბუკებიც, რომლებიც ძალას არ ზოგავდნენ თავიანთი გუნდის წარმატებისთვის?

ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღიკვეთოს უმსგავსოება, როცა მწვრთნელები ცდილობენ თავიანთი უხეირო, უვიცი მუშაობა ყალბი საბუთებითა და მაქინაციებით დაფარონ. ისინი ცდილობენ შეაცდინონ რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა და საბოლოოდ კი ზიანს აყენებენ ახალგაზრდა ფეხბურთელთა აღზრდის დიდმნიშვნელოვან საქმეს.

მოზარდ ფეხბურთელებთან არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ფოთში, ლანჩხუთში, მახარაძეში, თელავში, რომელთა გუნდებს, როგორც წესი, სატურნირო ცხრილის ბოლოში ვხვდებით. ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება ამ გუნდების ხელმძღვანელებს შევახსენოთ გურჯაანის, ცხინვალის, ჭიათურისა და სხვათა მწარე გამოცდილება. უწინ ამ უკანასკნელთა გუნდები საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ, ახლა კი რესპუბლიკური შეჯიბრების II ჯგუფს სჯერდებიან. ამ ქალაქებში დროზე რომ ეზრუნათ მომავალი თაობის აღზრდისთვის, ასეთი რამ, რა თქმა უნდა, არ მოხდებოდა.

კვლავ გვიხდება ლაპარაკი დისციპლინის დარღვევაზე. რესპუბლიკური ჩემპიონატის პროცესში რეგისტრირებულია 9 გაძევება და 27 გაფრთხილება. პროცენტი, რა თქმა უნდა, დიდია. სოხუმის დინამოელებმა ამაშიც „გამოიჩინეს თავი“: მათს წილად მოდის 2 გაძევება და 1 გაფრთხილება, ამასთან, ორივეჯერ ზემოხსენებული ხამალიანი და ბოხაშვილი არიან გაძევებული.

ცუდად იქცეოდნენ მინდორზე „სპორტინტერნატის“, თელავის, მწვრთნელთა სკოლის ფეხბურთელები. მწვრთნელები ვალდებული არიან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თავიანთ კოლექტივებში წესრიგის დამყარებას და მოთამაშეთა წესიერ ქცევას. ამ მხრივ სამაგალითოა თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა, რომლის მოთამაშეებსაც აგერ უკვე მესამე წელია არც ერთი გაფრთხილება არ მიუღიათ.

დისციპლინის განმტკიცებისთვის ბრძოლას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი მაღალი კლასის ფეხბურთელის აღზრდის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა.

წინაა ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება. ჩვენმა გუნდებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა წარმატებით გაართვან თავი მათს წინაშე დასახულ ამოცანას.

ნ. ამირეჯიბი,
საქართველოს სპორტკომიტეტის ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის უფროსი მწვრთნელი.

## ოლიმპიური ფეხბურთი




ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირი საერთაშორისო მასშტაბის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და მნიშვნელოვანი ასპარეზობაა ამ სახეობაში. მისი ავტორიტეტი განუწყვეტლივ იზრდება, რასაც ის ფაქტიც მოწმობს, რომ ყოველ ახალ ოლიმპიადაში მონაწილეთა რიცხვი სულ უფრო მატულობს.

თავდაპირველად, ათენის I ოლიმპიურ თამაშებში 1896 წელს, ოლიმპიური სტადიონის შესასვლელი კარი ფეხბურთელთათვის დაკეტილი აღმოჩნდა. მაშინ ფორუმის ორგანიზატორებმა მიიჩნიეს, რომ ძველი ბერძნები ოლიმპიადებში მხოლოდ პირადი პირველობისთვის ასპარეზობდნენ და ამის გამო თამაშების პროგრამაში სხვა გუნდური სახეობებიც არ შეიტანეს. საზოგადოებრიობის აქტიური მოთხოვნით, უკვე 4 წლის შემდეგ, პარიზის ოლიმპიურ თამაშებში გაიმართა ფეხბურთელთა პირველი ტურნირი, რომელშიც მხოლოდ 3 ქვეყანა (ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია) მონაწილეობდა. არც მომდევნო ოლიმპიადები გამოირჩეოდა გუნდების სიუხვით: მაგალითად, III თამაშებში (სენტ-ლუისი) სულ ორად-ორი მონაწილე იყო — კანადა და აშშ, რომლებმაც პირდაპირ ფინალი გაითამაშეს, ხოლო ათენის რიგგარეშე ოლიმპიადაში, 1906 წელს, მინდორზე დანიის ნაკრები და საბერძნეთის სამი ქალაქის გუნდები გამოვიდნენ. საბოლოოდ, ამ ტურნირებისთვის ოფიციალური სტატუსი არ მიუნიჭებიათ და ისინი ფეხბურთის ანალებში შევიდნენ ოლიმპიურ თამაშებში საჩვენებელი გამოსვლების სახით.

1908 წელს ლონდონის IV ოლიმპიადაში გამოვლინდა პირველი ოფიციალური ოლიმპიური ჩემპიონი ფეხბურთში — ინგლისის გუნდი, რომელმაც ფინალში სძლია დანიის ნაკრებს — 2:0. მომდევნო ადგილები შესაბამისად ჰოლანდიისა და შვეციის ფეხბურთელებმა დაიკავეს.

ამრიგად, ფეხბურთმა ოლიმპიურ თამაშებში სრული უფლებამოსილება მოიპოვა. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ 1932 წლის ლოს-ანჯელესის თამაშები. იქ ორგანიზატორებმა საერთოდ ამოიღეს სპორტის ეს სახეობა ოლიმპიადის პროგრამიდან, რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებში ფეხბურთი პოპულარული არ იყო. ამას გარდა, შეგახსენებთ, რომ VI, XII და XIII ოლიმპიური თამაშები მსოფლიო ომების გამო არ ჩატარებულა.

1912 წელს სტოკჰოლმის V ოლიმპიადაში პირველად სცადა ძალა რუსეთის ნაკრებმა. დებიუტი ერთობ წარუმატებელი გამოდგა — რუსმა ფეხბურთელებმა ჯერ ფინელებთან წააგეს (1:2), შემდეგ კი ეგრეთ წოდებულ „სანუგეშო“ შეხვედრაში გამანადგურებელი ანგარიშით (0:16) დამარცხდნენ გერმანიის ნაკრებთან. რუსეთის მოუმზადებელი გუნდის ეს კატასტროფა სავსებით კანონზომიერი იყო, რასაც ამტკიცებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ნაკრების წევრ — პეტერბურგისა და მოსკოვის ფეხბურთელთა უმრავლესობამ ერთმანეთი გაიცნო ხომალდის გემბანზე, რომლითაც გუნდი შვეციისკენ მიემგზავრებოდა.

ტურნირის ფინალში ისევ ინგლისი და დანია შეხვდნენ ერთმანეთს. ფეხბურთის ფუძემდებლებმა კვლავ იმარჯვეს 2 ბურთის სხვაობით — 4:2. III ადგილი მეორედ მოიპოვეს ჰოლანდიელებმა, IV — ფინელებმა.

ოლიმპიური ფეხბურთის ისტორიაში 1920 წლის ანტვერპენის VII თამაშების ფინალური მატჩი შევიდა როგორც უპრეცედენტო. ეს შეხვედრა ბელგიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს შორის შეწყდა მსაჯის ფინალურ სასტვენამდე 4 წუთით ადრე, მაშინ, როცა მასპინძლები წინ იყვნენ ანგარიშით 2:0. ჩეხოსლოვაკიელებმა არბიტრის არაობიექტური მსაჯობის გამო მინდორი დატოვეს, ხოლო შემდეგ ფინალის გადათამაშებაზეც უარი თქვეს, ვინაიდან, მათი აზრით, მასპინძლები ვერ შექმნიდნენ დამაკმაყოფილებელ პირობებს თამაშის ნორმალური მსვლელობისთვის. ჩეხოსლოვაკიის ნაკრები დისკვალიფიცირებული იქნა.

ვერცხლის პრიზიორის გამოსავლენად ჩატარდა დამატებითი ასპარეზობა და საბოლოოდ ტურნირში ადგილები ასე განაწილდა: 1. ბელგია, 2. ესპანეთი, 3. ჰოლანდია.

გთავაზობთ შემდგომი ოლიმპიური ტურნირების შედეგებს:

VIII ოლიმპიური თამაშები. 1924 წელი, პარიზი. ფინალური მატჩი: ურუგვაი — შვეიცარია (3:0). 1. ურუგვაი, 2. შვეიცარია, 3. შვეცია, 4. ჰოლანდია.

IX ოლიმპიური თამაშები. 1928 წელი, ამსტერდამი. ფინალური მატჩი: ურუგვაი — არგენტინა (1:1 და 2:1). 1. ურუგვაი, 2. არგენტინა, 3. იტალია, 4. ეგვიპტე.

XI ოლიმპიური თამაშები. 1936 წელი, ბერლინი. ფინალური მატჩი: იტალია — ავსტრია (2:1). 1. იტალია, 2. ავსტრია, 3. ნორვეგია, 4. პოლონეთი.

XIV ოლიმპიური თამაშები. 1948 წელი, ლონდონი. ფინალური მატჩი: შვეცია — იუგოსლავია (3:1). 1. შვეცია, 2. იუგოსლავია, 3. დანია, 4. ინგლისი.

1952 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებმა პირველად იასპარეზა ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებაში — ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშების ფინალურ ტურნირში. პირველი შეხვედრა ოლიმპიურ დონეზე სსრ კავშირის ნაკრებმა გამართა 15 ივლისს ფინეთის ქალაქ კოტკაში ბულგარელთა წინააღმდეგ. ნაკრების შემადგენლობა ასეთი იყო: ივანოვი, კრიჟევსკი, ბაშაშკინი, ნირკოვი, ნეტო, პეტროვი, ტროფიმოვი, ტენიაგინი, ბობროვი, ღოღობერიძე, ილინი.

მატჩი საბჭოთა გუნდმა დამატებით დროში მოიგო ანგარიშით 2:1. ხუთი დღის შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელები იუგოსლავიის ეროვნულ გუნდს შეხვდნენ. აი, რას წერდა ამ მატჩის შესახებ სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ღოღობერიძე თავის წიგნში „ბურთით ცხრა მთას იქით“:

„დადგა ჩვენი ბრძოლის დროც. ქალაქ ტამპერეში დაინიშნა მატჩი იუგოსლავიელებთან.

გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი შევა ისტორიაში, როგორც ნიმუში გამარჯვებისადმი წარმოუდგენელი ნებისყოფისა, როგორც დრამატიზმით აღსავსე, ლოგიკურად გამართლებული ფინიშის მატჩი. აბა, განსაჯეთ: საფინალო სასტვენამდე 15 წუთით ადრე ჩვენ ვაგებდით... 1:5-ზე. თითქოს ყველაფერი უიმედოდ დაკარგული იყო. იუგოსლავიელებმა, რომელთაც ყველაფერი მოთავებული ეგონათ, უარი თქვეს შემდგომ იერიშებზე და აშკარად იწყეს დროის გაყვანა. მათ სურდათ როგორმე ჩაეთავებინათ დარჩენილი წუთები.

მაგრამ ნურას უკაცრავად! მოხდა წარმოუდგენელი რამ. ჯერ ტროფიმოვს გააქვს ბურთი, ერთი წუთის შემდეგ კი ბობროვს. მიმდინარეობს თამაშის 78-ე წუთი. ნიკოლაევი მძლავრად ურტყამს კარში და მეკარე დიდი გაჭირვებით სწვდება მაღალ კუთხეში გაგზავნილ ბურთს, კუთხურზე გადაჰყავს იგი. კორნერს იუგოსლავიელებისთვის შველა არ მოაქვს: ჩამოწოდებულ ბურთთან ყველაზე ადრე ჩნდება ბობროვი და... ანგარიშია უკვე 4:5. იუგოსლავიელები გონს მოდიან, მაგრამ უკვე გვიანია. გარდატეხა თამაშში და ჩვენს განწყობილებაში მოხდა გაცილებით ადრე, შეიძლება იმ მომენტში, როდესაც ტროფიმოვმა გაიტანა გოლი.

და აი, მაშინ, როცა მსაჯის წამზომის ისარი უკანასკნელ წრეს ითვლიდა, მოხდა ის, რასაც 20 წუთის წინ ვერავინ წარმოიდგენდა — საბჭოთა ნაკრებმა გაქვითა ანგარიში. მეხუთე ბურთი ტროფიმოვის კუთხური მოწოდებიდან თავური დარტყმით გაიტანა ალექსანდრე პეტროვმა, და აქვე ინგლისელი მსაჯი არტურ ელისი იძლევა საფინალო სასტვენს“.

ანგარიში არც დამატებით დროში შეცვლილა, ხოლო მეორე დღეს მეტოქეები კვლავ დადგნენ ერთმანეთის პირისპირ. საბჭოთა მწვრთნელებმა კორექტივი შეიტანეს თავდასხმის ხაზში: ბესკოვის ნაცვლად გამოვიდა თბილისის დინამოელი ა. ჭკუასელი.

განმეორებითი მატჩის მე-6 წუთზე ბობროვმა ანგარიში გახსნა, მაგრამ მალე მეტოქემ წონასწორობა აღადგინა. შემდეგ კი იუგოსლავიელებმა კიდევ ორი ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს — 3:1. საბჭოთა კავშირის ნაკრები ოლიმპიური მედლებისთვის ბრძოლას გამოეთიშა.

ოლიმპიური ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთისა და იუგოსლავიის კოლექტივები. უნგრეთის „დიდი გუნდის“ შემადგენლობაში თამაშობდნენ ფეხბურთის ისეთი დიდოსტატები, როგორიც იყვნენ ჰროშიჩი, ბოჟიკი, ჰიდეგკუტი, კოჩიში, პუშკაში... ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ იუგოსლავიის ნაკრები დამარცხდა ამ ორთაბრძოლაში — 0:2. III ადგილი დაიკავა შვეციის ნაკრებმა, ხოლო IV — გფრ-ის გუნდმა.

1956 წელი აღინიშნა სსრ კავშირის ნაკრების დიდი წარმატებით — მელბურნის XVI ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლების მოპოვებით.

შესარჩევ მატჩებში საბჭოთა ნაკრებმა ორჯერ დაამარცხა ისრაელის გუნდი, შინ ანგარიშით 5:0, სტუმრად — 2:1.

პირველი შეხვედრა მელბურნში საბჭოთა ფეხბურთელებს გაერთიანებული გერმანიის გუნდთან ჰქონდათ და გაიმარჯვეს — 2:1. ხუთი დღის შემდეგ, 29 ნოემბერს, ინდონეზიის ნაკრებთან შეხვედრაში საბჭოთა გუნდმა ვერაფერი მოუხერხა მეტოქის გაძლიერებულ დაცვას, თუმცა თითქმის მთელი მატჩი მეტოქის ნახევარზე ჩაატარა. საბჭოთა ფეხბურთელებმა მეტოქის კარში 68-ჯერ დაარტყეს, ხოლო აზიელმა ფეხბურთელებმა მხოლოდ ერთხელ. თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0. განმეორებით მატჩში საბჭოთა გუნდმა ოთხი „მშრალი“ ბურთი მოათავსა მოწინააღმდეგის კარში და ნახევარფინალში გავიდა, სადაც ბულგარეთის ნაკრებს შეხვდა. ეს უაღრესად დაძაბული მატჩი საბჭოთა გუნდის გამარჯვებით დასრულდა — 2:1. სამივე გოლი დამატებით დროში გავიდა, ამასთან, ანგარიში ბულგარელებმა გახსნეს.

1956 წლის 8 დეკემბერს იუგოსლავიის გუნდთან ფინალურ შეხვედრაში საბჭოთა ნაკრების შემადგენლობა ასეთი იყო: იაშინი, კუზნეცოვი, ბაშაშკინი, ოგონკოვი, მასლიონკინი, ნეტო, ტატუშინი, ისაევი, სიმონიანი, სალნიკოვი, ილინი.

ფინალი მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა ილინის მიერ გატანილი ერთადერთი გოლის მეოხებით და ოლიმპიური ჩემპიონების ოქროს მედლები მოიპოვეს.

იუგოსლავიის ნაკრები XVI თამაშების ვერცხლის პრიზიორი გახდა. III და IV ადგილები შესაბამისად დაიკავეს ბულგარეთისა და ინდოეთის ფეხბურთელებმა.

XVII ოლიმპიური თამაშები. 1960 წელი, რომი. ფინალური მატჩი: იუგოსლავია — დანია (3:1). 1. იუგოსლავია, 2. დანია, 3. უნგრეთი, 4. იტალია.

XVIII ოლიმპიური თამაშები. 1964 წელი, ტოკიო. ფინალური მატჩი: უნგრეთი — ჩეხოსლოვაკია (2:1). 1. უნგრეთი, 2. ჩეხოსლოვაკია, 3. გდრ, 4. არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა.

XIX ოლიმპიური თამაშები. 1968 წელი, მეხიკო. ფინალური მატჩი: უნგრეთი — ბულგარეთი (4:1). 1. უნგრეთი, 2. ბულგარეთი, 3. იაპონია, 4. მექსიკა.

ბოლო სამი ოლიმპიური თამაშების ფინალურ შეჯიბრებებში საბჭოთა ფეხბურთელებს მონაწილეობა არ მიუღიათ — ისინი უკვე შესარჩევ შეხვედრებში მარცხდებოდნენ და ფეხბურთელთა ოლიმპიური ტურნირის მიღმა რჩებოდნენ.

1972 წლის ოლიმპიური თამაშები, როგორც ცნობილია, დასავლეთ გერმანიის ქალაქ მიუნხენში გაიმართება. ოლიმპიადის ფეხბურთელთა ტურნირში მნიშვნელოვანი სიახლეა: შეჯიბრება გაიმართება არა ოლიმპიური, არამედ წრიული სისტემით. 16 ფინალისტი, როგორც ყოველთვის, იყოფა ოთხ ჯგუფად, სადაც გამოვლინდება 2-2 გამარჯვებული, შემდეგ 8 გუნდი კვლავ თანაბრად განაწილდება ორ ჯგუფში და ისევ წრიული სისტემით ითამაშებს. ამ ჯგუფებში I ადგილებზე გასული გუნდები მიუნხენის ახალ ოლიმპიურ სტადიონზე ფინალურ მატჩში იბრძოლებენ ოქროს მედლებისთვის, ხოლო II ადგილებზე გასულები დანარჩენ მედლებს გაითამაშებენ.

ფეხბურთელთა ოლიმპიურ ტურნირებს დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ჩამორჩენილი საფეხბურთო ქვეყნებისთვის. ამავე დროს, შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ოლიმპიურ თამაშებში მიიღეს პირველი სერიოზული საბრძოლო ნათლობა ბურთის ისეთმა უბადლო ოსტატებმა, როგორიც არიან ესპანელი რიკარდო ზამორა და ურუგვაელი ხოსე ანდრადე, შვედები გუნარ ნორდალი და ნისე ლიდჰოლმი, იტალიელი ჯანი რივერა და უნგრელი ფერენც ბენე. ეჭვგარეშეა, მიუნხენის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირიც დაასახელებს ახალ ნიჭიერ მოთამაშეებს. კარგი იქნება, თუ ამ „აღმოჩენათა“ რიცხვში მოხვდებიან საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების ფეხბურთელები, რომელთა შორის, როგორც ცნობილია, სამი თბილისის დინამოელია: გ. ნოდია, ვ. გუცაევი და მ. მაჩაიძე.

გ. მიქაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ა მ ფ ო ნ ა შ ი...

გუშინწინ თბილისის ფალავანთა კლუბში დაიწყო საქართველოს სამბისტთა პირადი ჩემპიონატი. პირველ დღეს ჭიდაობდნენ უმძიმესი, ქვემსუბუქი და მეორე ქვესაშუალო წონის წარმომადგენლები.

უმძიმესი წონის ხალიჩაზე 23 მოჭიდავე გამოვიდა. მთავარ ფავორიტად სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზიორი და რესპუბლიკის ნაკრების ვეტერანი, 31 წლის თბილისელი გ. ყაყიჩაშვილი მიაჩნდათ. მანაც გაამართლა იმედი: ქვეჯგუფში ხუთი შეხვედრა მოიგო, ნახევარფინალში კი 2 წუთსა და 30 წამში დაამარცხა თანაქალაქელი დ. ჯუგაშვილი. ფინალში ყაყიჩაშვილი შეხვდა რესპუბლიკის იუნიორთა ჩემპიონს ა. ობგაიძეს (თბილისი). შერკინება ამჯერადაც ვეტერანის უპირატესობით წარიმართა, რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონის სახელი. III ადგილზეც თბილისელი სამბისტები გავიდნენ — ჯუგაშვილი და ვ. ლაშხი.

ქვემსუბუქ წონაში წარმატებას მიაღწია გორელმა ი. ფუხაშვილმა, რომელმაც ფინალამდე ექვსი შეხვედრა მოიგო, გადამწყვეტ ბრძოლაში კი რუსთაველი რ. მჭედლიძე დაჯაბნა. III ადგილი კ. ხულელიძემ და ვ. კარიაულმა (ორივე — დუშეთი) დაისაკუთრეს.

ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი მეორე ქვესაშუალო წონაში. ფინალში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ თბილისელები რ. ხარშილაძე და ჯ. კბილაშვილი. ამ უკანასკნელმა შეხვედრა აქტიურად დაიწყო, მე-4 წუთზე 3 ქულას იგებდა, მაგრამ ხარშილაძემ შეძლო დაკარგულის ანაზღაურება, ხელთ იგდო ინიციატივა და პატარა უპირატესობით გაიმარჯვა. III ადგილები ამ წონაში ხვდათ ა. ბარკალაევსა და ნ. ხორგუაშვილს (ორივე — თბილისი).

ჩემპიონატი დღეს დამთავრდება.

ვ. ქოგელაშვილი.

• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABĐARUGAS •

## პრიზის დათმობას არ აპირებს

გრძელდება იტალიისა და ინგლისის გუნდების ტრადიციული ტურნირი.

როგორც ჩანს, „ბლეკპული" საპატიო პრიზის დათმობას არ აპირებს: მორიგ ტურში მან ანგარიშით 2:0 სძლია „სამპდორიას" და ახლა თავის ქვეჯგუფში 14 ქულით I ადგილზე დგას.

„ბირმინგემმა" დაამარცხა „ლანეროსი" — 5:3.

„კარლისლმა", რომელიც „ბლეკპულთან" ერთად ფინალში გასვლის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია, ფრედ (3:3) დაამთავრა შეხვედრა „რომასთან" და ახლა 12 ქულა აქვს.

„ატალანტასა" და „სანდერლენდის" მატჩში ანგარიში არ გახსნილა.

იტალიური კლუბებიდან საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს „ატალანტამ" (13 ქულა, II ადგილი) და „რომამ" (10 ქულა, IV ადგილი).

ფინალური ეტაპი 24 ივნისს დაიწყება.

● ●

## სენტიმენტალური გახდა

გამოჩენილი ბრაზილიელი ფეხბურთელი ალტაფინი (მაცოლა) აგერ უკვე 14 სეზონია დიდი წარმატებით გამოდის იტალიაში (უკანასკნელ წლებში იგი „ნაპოლიში" თამაშობს) და არაერთხელ დაუმსახურებია მაღალი სპორტული ჯილდოები.

საინტერესოა, რომ თვით ალტაფინი ამ ბოლო დროს სენტიმენტალური გახდა და მიაჩნია, რომ სპორტული კარიერა... არ გამოუვიდა.

„იღბალი რომ მქონოდა, 1958 წელს შვეციაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში არ დავშავდებოდი. მაშინ ვინ იცნობდა პელეს? იგი მხოლოდ ჩემი დუბლიორი იყო. ოჰ, ის წყეული ტრავმა! მეოთხედფინალში ვითამაშე და მსოფლიო ჩემპიონატს გამოვეთხოვე. პელემ შემცვალა".

ალტაფინიმ განაცხადა, რომ კიდევ ორ წელიწადს ითამაშებს და მერე ფეხბურთს გამოეთხოვება.

## ბირმელებს ნუ ეხუმრებით

ბირმელ ფეხბურთელებზე აქამდე არავის არაფერი სმენია. მაგრამ ახლა, ეტყობა, მდგომარეობა შეიცვალა.

ბირმელებმა დამაჯერებლად მოიპოვეს ოლიმპიური თამაშების ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება და სერიოზულად ემზადებიან ევროპელი მწვრთნელების ხელმძღვანელობით. ყოველ შემთხვევაში, ის სპეციალისტები, რომლებიც ბირმელთა შესარჩევ თამაშებს ესწრებოდნენ, აცხადებენ, რომ ამ გუნდს თვალსაჩინო უპირატესობა ჰქონდა თავის აზიელ მეტოქეებთან ბრძოლაში. განსაკუთრებით დამაჯერებელი იყო გამარჯვება (3:0) ინდონეზიის გამოცდილ კოლექტივთან.

ბირმელები პირველად გავიდნენ ოლიმპიური თამაშების ფინალში.

## ბესტმა გადაიფიქრა

„მანჩესტერ იუნაიტედისა" და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები გუნდის სახელგანთქმული თავდამსხმელი ჯორჯ ბესტი ახალი დილემის წინაშე დგას...

— მე აღარა ვარ ფეხბურთელი. კინოხელოვნებაში უნდა ვცადო ბედი. სპორტს ვეთხოვები, — ასე განაცხადა ბესტმა 21 მაისს. ეს განცხადება გამოქვეყნდა პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში... ბესტის ამ მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. დიდი ბრიტანეთის ცნობილი მწვრთნელები, სპეციალისტები, ჟურნალისტები გაოცებას გამოთქვამდნენ, მათი ერთი ნაწილი კი ირონიულად შენიშნავდა, რომ საეჭვოა ბესტმა კინოხელოვნებაში ისეთ მწვერვალებს მიაღწიოს, როგორსაც მწვანე მინდვრებზე...



ვიმეორებთ: ყოველივე ეს მოხდა მაისში. ახლა კი ივნისია. და აი, ამ რამდენიმე დღის წინ ბესტმა განაცხადა, რომ მომავალ სეზონში თამაშს აპირებს (არა კინოფილმში, არამედ საფეხბურთო მინდვრებზე). ამ განცხადებას სპეციალური კომისია განიხილავს, რომელიც გადაწყვეტს რა ზომები მიიღოს ბესტის მიმართ კონტრაქტის დარღვევისთვის.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ჯ. ბესტი თამაშის დროს.

„მორნინგ სტარის" (ლონდონი) ფოტო.

## დოჰერტი: „სერიოზულად ვემზადებით"

შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელმა ტ. დოჰერტიმ განაცხადა, რომ მისი არჩეული 20 უძლიერესი ფეხბურთელი სერიოზულად ემზადება მსოფლიოს „მცირე ჩემპიონატისთვის". თუმცა ტურნირი 11 ივნისს დაიწყო, შოტლანდიელები, რომლებიც საორგანიზაციო კომიტეტმა წინასწარი თამაშებისგან გაათავისუფლა, ბრძოლაში მხოლოდ 2 ივლისს ებმებიან. ისინი ამ დღეს პორტო-ალეგრეში ჩეხოსლოვაკიელებს ხვდებიან.

დოჰერტიმ ამჯერად გადაუხვია შოტლანდიაში მიღებულ ტრადიციას — გუნდი მარტო „სელტიკისა" და „გლაზგო რეინჯერსის" მოთამაშეებისგან არ შეუდგენია. პირიქით, მან ფართოდ მიიწვია ნიჭიერი ახალგაზრდები პროვინციული შოტლანდიური კლუბებიდან და, საერთოდ, ნაკრები მნიშვნელოვნად გადაახალისა. დოჰერტიმ, ცხადია, არც ზოგიერთ ვეტერანზე თქვა უარი მათი რიცხვიდან, ვინც ბოლო სეზონში გამოიჩინა თავი. მაგალითად, ბრაზილიაში გაემგზავრებიან „ოქროს ბურთის" კავალერი ლოუ („მანჩესტერ იუნაიტედი") და უწინ დიდი ბრიტანეთის № 1 ფეხბურთელად აღიარებული ბრემნერი („ლიდს იუნაიტედი").

მიუხედავად იმისა, რომ შოტლანდიელები ნახევარფინალურ ჯგუფში ბრაზილიელებთან ერთად აღმოჩნდნენ, ისინი ფრიად ოპტიმისტურად არიან განწყობილი.

● ●

## ჰიონეს აქებენ

როცა ლაპარაკია გფრ-ის ნაკრების უკანასკნელ თამაშებზე, განსაკუთრებით გამოჰყოფენ 20 წლის ნახევარმცველ ჰიონესს. მან ჩინებულად ითამაშა ინგლისისა და სსრ კავშირის ეროვნული გუნდების წინააღმდეგ, დიდი დიაპაზონის ოსტატის შთაბეჭდილება დატოვა. ახალგაზრდა ფეხბურთელი აქტიურად მონაწილეობს იერიშებში, ხოლო თავის ძირითად სამუშაოს მინდვრის ცენტრში უნაკლოდ ასრულებს.

საყურადღებოა, რომ ჰიონესი არ გახლავთ პროფესიონალი ფეხბურთელი. ეს გფრ-ის ოლიმპიური ნაკრების ხელმძღვანელობას საშუალებას აძლევს მიუნჰენშიც გამოიყენოს იგი.

● ●

## 100 წელი უსრულდება

შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაცია გაისად თავის 100 წლისთავს აღნიშნავს. ამ ღირსშესანიშნავ იუბილესთან დაკავშირებით, შოტლანდიის ნაკრებს 1973 წელს საქვეყნოდ აღიარებულ გუნდებთან მთელი რიგი საერთაშორისო მატჩების გამართვა აქვს დაგეგმილი. ზოგიერთი შეხვედრის თარიღი უკვე ცნობილია. 14 თებერვალს შოტლანდიელები ეთამაშებიან ინგლისის ნაკრებს, 30 ივნისს — მსოფლიო ჩემპიონს — ბრაზილიის ეროვნულ გუნდს, ხოლო 14 ნოემბერს — გფრ-ის ნაკრებს.

# ფ ი ფ ა 40 წ ლ ი ს ა ა

19 ივნისს კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციას (ფიბა) 40 წელი უსრულდება. ამ საიუბილეო თარიღს საზეიმოდ აღნიშნავენ მთელს მსოფლიოში. ფიბა, რომელიც ერთ-ერთი უძველესი მასობრივი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციაა ფეხბურთისა და მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციების შემდეგ, თავის რიგებში 135 ქვეყანას აერთიანებს. იგი განუხრელად ატარებს კალათბურთის პოპულარიზაციის კურსს ხუთივე კონტინენტზე და ზეიმის დღეებში დაგეგმილი ღონისძიებებიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

საერთაშორისო ფედერაციის საიუბილეო სხდომა 19 ივნისს გაიმართება ჟენევაში — ფიბა-ს საშტაბო ბინაში. გუშინ კი ზაგრებში უკვე შედგა აშშ-ს ოლიმპიური გუნდისა და ევროპის ნაკრების პირველი ამხანაგური შეხვედრა.

„ძველი სამყაროს" გუნდის დაკომპლექტება დაევალა სახელგანთქმულ პოლონელ მწვრთნელს ვ. ზაგურსკის. ნაკრების ტექნიკური დირექტორია ცნობილი იუგოსლაველი სპეციალისტი ბ. სტანკოვიჩი. მათს ნაკრებ გუნდში 9 ქვეყნის წარმომადგენლები შევიდნენ. სსრ კავშირი ხუთი კალათბურთელითაა წარმოდგენილი. მ. პაულაუსკასი (კაუნასის „ჟალგირისი"), ა. ბელოვი (ლენინგრადის „სპარტაკი"), ა. ჟარმუხამედოვი, ს. ბელოვი და ი. ედეშკო (ყველა — ცსკა). უნდა ითქვას, რომ ამდენი დელეგატი ევროპის ნაკრებში არ გაუგზავნია თვით მსოფლიოს ჩემპიონს — იუგოსლავიასაც კი (მას მხოლოდ 3 მონაწილე ჰყავს გუნდში). ამათ გარდა ნაკრებში თამაშობენ ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, საფრანგეთის, პოლონეთის, ესპანეთის, გფრ-ისა და იტალიის საუკეთესო კალათბურთელები.

ამას წინათ მოსკოვიდან ზაგრებს გაფრინდნენ სსრ კავშირის ნაკრების ხუთეული და მწვრთნელი ვ. კონდრაშინი. ამ უკანასკნელმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „საბჭოთა კალათბურთელების ხუთეულის თამაშს კონტინენტის ნაკრებში ჩვენ განვიხილავთ, როგორც ოლიმპიური სამზადისის ერთ-ერთ ეტაპს. საბჭოთა ნაკრების ძირითადი ბირთვისთვის საინტერესო იქნება ამერიკელებთან თამაში. ჩემი ღრმა რწმენით, ოლიმპიური ჩემპიონი ამჯერად შეცვლილ შემადგენლობას გამოიყვანს. საბჭოთა სპორტსმენები მხოლოდ ორ შეხვედრაში გამოვლენ, მერე კი შეუერთდებიან სსრ კავშირის ნაკრებს, რომელიც ამ დროისთვის დასავლეთ გერმანიაში იქნება წინასაოლიმპიადო ტურნირში სათამაშოდ".

ევროპისა და აშშ-ს ნაკრებთა დანარჩენი შეხვედრები 19, 21 და 23 ივნისს გაიმართება. ბოლო მატჩი პარიზის გარეუბანშია დანიშნული.

# თასმა მისამართი შეიცვალა

ვილნიუსი, 16 ივნისი. აქ დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების V ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება „ბალტიის თასზე". ეს საპატიო პრიზი დაისაკუთრა სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა: ბოლო მატჩში დაამარცხა გფრ-ის ნაკრები — 12:9 (7:5). გფრ-ის გუნდი II ადგილზე დარჩა.

III ადგილი თასის შარშანდელმა მფლობელმა — გდრ-ის ნაკრებმა დაიკავა. IV ადგილზეა შვეციის გუნდი, V — სსრ კავშირის მეორე ნაკრები. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ დანიის, პოლონეთისა და ფინეთის ხელბურთელები.

კრასნოდარელი სტუდენტი, 23 წლის ვ. გასიი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირად მოგვევლინა. იგი მეორე ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა და ხუთ მატჩში 37 გოლი გაიტანა.

ხ ე ლ ბ უ რ თ ი

# ტრაგიკული ფინიში

შვეციის სპორტმა ერთი გამოჩენილი ოსტატი დაკარგა: საფრანგეთში გამართულ 24-საათიან ავტორბოლაში დაიღუპა ჟოაკიმ ბონიერი — ბევრ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, ჰოლანდიისა და ამერიკის შეერთებული შტატების დიდი პრიზების მფლობელი.

დასავლეთ ევროპის სპორტულ სამყაროში ბონიერი გამოჩენილი ფიგურა იყო. მან რბოლებს 20 წელი შესწირა და 42 წლის სპორტსმენი უძლიერესად ითვლებოდა. ბონიერი ცნობილი იყო იმითაც, რომ ყველგან და ყოველთვის აქტიურად იბრძოდა საავტომობილო შეჯიბრებების დროს უსაფრთხოებისთვის. მისი რამდენიმე მოთხოვნა, რომელთაც საზოგადოებრიობამ დაუჭირა მხარი, განხორციელდა, მაგრამ ბევრი კარგი წინადადება შეუსრულებელი დარჩა.

ლე-მანში უკანასკნელი სტარტის წინ, როგორც სტოკჰოლმის გაზეთები წერენ, შვედმა მრბოლელმა ისევ დაიწყო ლაპარაკი საშიშ ტრასაზე, სადაც მონაწილეებს სახელთან ზედიზედ 24 საათი უნდა გაეტარებინათ. და მოხდა ისე, რომ მარშრუტის შერჩევაში საავტომობილო შეჯიბრებების მესვეურთა დაუდევრობას შეეწირა სწორედ ის კაცი, რომელიც ყველაზე აშკარად გამოთქვამდა შიშს. ერთ-ერთ მოსახვევში ბონიერი მანქანამ გაიტაცა. დამცველმა მოაჯირმა სპორტსმენს ვერ უშველა: მანქანა ზედ გადაფრინდა და, საათში 230 კილომეტრის სისწრაფით მქროლი, ხეებს შეასკდა...

ეს პირველი შემთხვევა როდია დასავლეთში, როცა პროფესიონალი მრბოლელები შეჯიბრებას კუბოში ამთავრებენ.

მ. ზუბკო.

(„იზვესტიის" საკ. კორ.).

სტოკჰოლმი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 04552